2014 წელს, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, საჯარო სექტორის უწყებების/ ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტების გადამზადების მიზნით, შეიქმნა დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული - **სასწავლო ცენტრი**.

სასწავლო ცენტრის მიზნები:

- სააგენტოს სტრატეგიული მიზნებიდან და დასახული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სწავლების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში სპეციალური სასწავლო პროგრამების, სასწავლო-მეთოდოლოგიური და მეთოდურ-პრაქტიკული მასალებისა და დოკუმენტაციის მომზადება;
- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ტრენინგების, სემინარებისა და სხვა სასწავლო სახის პროექტების ორგანიზება და ჩატარება, საჭიროების შემთხვევაში, ამ ღონისძიებათა გავლის დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით გაცემა;
- სააგენტოს თანამშრომელთა მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების, სასწავლო ტურებისა და ვიზიტების, სხვა სახის სასწავლო პროგრამების შემუშავება, ორგანიზება და განხორციელება;
- საჭიროების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის საქმიანობისთვის ხელშეწყობა გამოცდების, ატესტაციის, გასაუბრებისა და ტესტირებების ორგანიზებასა და ჩატარებაში;
- კომპეტენციის ფარგლებში, თავმჯდომარესთან ან/და კურატორი თავმჯდომარის მოადგილესთან შეთანხმებით, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე შესაბამის საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პროექტებთან და აკადემიურ წრეებთან, ასევე სხვა ორგანიზაციებთან სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობის დამყარება;
- კომპეტენციის ფარგლებში, სასწავლო ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- თავმჯდომარის ან კურატორი თავმჯდომარის მოადგილის მიერ სასწავლო ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.

აღნიშნულის მიღწევა დაგეგმილია სასერთიფიკატო და ტრენინგ-პროგრამების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, კადრების პროფესიული უნარების გაუმჯობესების, სტაჟირების პროგრამებში ჩართვისა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის გზით.